საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დგებუაძე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე

დგებუაძე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1900, სოფ. ღანირი, ქუთაისის მაზრა, – IX. 1924, თბილისი), საქართველოს 1921–24 ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე. დაამთავრა ქუთაისის ქართ. სათავადაზნაურო გიმნაზია (1918). 1920-იდან სწავლობდა თბილისის სახელმწ. უნ-ტის სიბრძნისმეტყველების ფაკ-ტზე (ისტ. განხრით). 1918–21 დ. იყო საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის ეროვნ. არმიის ოფიცერი – საქართვ.-სომხ. ომის (1918), წითელ ხიდთან საბჭ. ჯარისა (1920) და კოჯორ-ტაბახმელასთან რუს. მე-11 წითელი არმიის წინააღმდეგ გამართული ბრძოლების (1921, თებ.), ამასთანავე ბათუმის ომის (1921, მარტი) აქტ. მონაწილე. მხედრული წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის ჯვრით. 1917-იდან დ. იყო საქართვ. ეროვნ.-დემოკრ. პარტიის წევრი და მისი ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი. საბჭ. რუს. მიერ საქართვ. ანექსიის (1921 თებ.-მარტი) შემდეგ, 1921–24 იყო ეროვნ.-დემოკრ. პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის იატაკქვეშა ცენტრ. კომიტეტის და პარტიის სამხ. კომისიის წევრი. დ. აქტ. მონაწილეობდა საქართვ. 1924 აგვ. აჯანყების (იხ. აგვისტოს აჯანყება 1924) მომზადებაში. 1922–24 იყო საქართვ. დამოუკიდებლობის კომიტეტის რწმუნებული. აჯანყების ჩახშობის შემდეგ დახვრიტეს ძმასთან ლ. დგებუაძესთან ერთად 1924 სექტ. თბილისში.

ლ. ურუშაძე